# ცნობის ფურცელი

## სურათებიანი დამატება

დამატების № 123. | კვირა, 1 ივნისი 1903 წ. | გაზეთის № 2167.

**4** მანეთი ღირს ყოველ დღიური გაზეთი **ცნობის ფურცელი** კვირაში ორის სურათებიანის დამატებით, 1 ივნისიდან წლის დამლევამდე.

***

(ნ. პოზდნიაკოვიდან)

სათვლავთან, ახლად მიწა მიყრილთან,
სად დაემარხათ ებრაელთ ბრძენი,
ვიდექ... ვისმენდი, როგორ აქებდნენ
მიცვალებულსა თანამოძმენი.

—

მაგრამ გავკვირდი, როცა სულველამ—
მოხუცმა და ყრმამ—წარმოსთქვა ლოცვა,
გადმოანთხია მდუღარე ცრემლი
და ახალ სათვლავს მიაყარა ქვა.

—

„სიცოცხლეში კაცს ეკლიან გზაზე
ვარდ-ყვავილს ვუფენთ—მათ მაპასუხეს,—
როცა მოკვდება, ქვას და ლოდს ვესვრით,
ეს წინაპართა მცნებად დაგვიდეს“.

—

„ო, ჩვენში სხვაა—გავიფიქრე მე—
ჩვენ სხვა წესს მივდევთ და სხვაგვარ მცნებას:
სიცოცხლეში კაცს ქვას და ლოდს ვესვრით,
მკვდარს გვირგვინს ვუძღვნით და ქებათ-ქებას“!..

განდეგილი

27 მაისი 1903 წ.

# ქურის მკვლელი ივანე

(ამბავი მესხ-ჯავახთა ცხოვრებიდან)

(შემდეგი*)

ყოველივე თეთრ სუდარაში იყო გახვეული. ერთ აკოკოლავებულ მთის ძირში, რომელი მთაც, თოვლით დაფენილი, უზარ-მაზარ შაქრის თავს მოგაგონებდათ, გაშენებული იყო ეს ჯავახური სოფელი—ჩამოჭერა, სადაც ქრისტიანი და მაჰმადიანი ქართველები სცხოვრობდნენ თუმცა გამაჰმადიანებულ ქართველებს წმიდათ დაეცვათ ენა და ზნე-ჩვეულებანი მოძმე ქრისტიანებისა, მაგრამ, ამასთანავე, შეურყევლად ადგნენ შეცვლილ რჯულს საკვირველი კია: ამათ კარგად იცოდნენ, რომ შედარებით დიდი ხანი არ არის გასული მას შემდეგ, როცა ისინიც ქრისტეს რჯულს ადიდებდნენ, რომ ბევრ გამაჰმადიანებულს გაგონილი ჰქონდა და ახსოვდა თავის ქრისტიან წინაპრების ამბები, ზოგი ეხლაც კი ენათესავებოდა ქრისტიან ქართველებს,—მაგრამ მაჰმადის რჯულს ისე მტკიცედ გაედგა ფესვები, რომ სულ მცირე რიცხვი ნამდვილ ფანატიკოს მაჰმადიანთა თუ შეედრებოდა იმათ. ამ სავალალო მოვლენაზედ ლაპარაკი ჩვენ შორის წაგვიყვანს და, მგონი, ემჯობინება განზრახულ საგანს არ ავცდეთ.

*) იხილე დამატება № 121.

სოფ. ჩამოჭერის ისედაც დაბალი, მიწური სახლები თითქმის მთლად თოვლში იყო ჩაფლული. მხოლოდ სოფლის შუა, რუს აქეთ-იქით ორ რიგად ჩარიგებული ნერგის და ტირიფის ხეები, დატვირთულ თოვლისგან ტოტებ ჩამოშვებულნი, ნაღვლიანად დაჰყურებდნენ გამოყრუებულ სოფელს. ის ყბედი, კვლავ მოჩუხჩუხე რუ, რომლის ყოველი წვეთიც ზაფხულობით დედის რძესავით ერგებოდათ ხეებს, ეხლა, ისედაც მოშხამულ დროს, მტრად გადაჰქცეოდათ, რადგან ხეების მიერ რუდგან ხარბად ამოწოვებული წყალი ტანში გაჰყინოდათ, რის გამოც ღეროები ბევრ ადგილს დასერილ-დახეთქილიყო. ზაფხულობით ამ სოფლის არე-მარე სულ სხვა შთაბეჭდილებას მოახდენდა თქვენზე: ეს ერთი უხვად დაჯილდოვებული სინოყივრით და სიკეკლუცით კუთხეა, რომელიც ზოგჯერ



ანჩხლი.—სურათი იაკობიდისა.

შენდა უნებურად იმდენად გაგიტაცებს, რომ მზადა ხარ დაიჩოქო და ემთხვიო ათას-გვარად მორთულ-მოკაზმულ ქალამინდვრებს, სხვა-და-სხვა სიმაღლის მთა გორაკებს, ზოგს მთლად შემოსილს დაბურულ და გულ-ჩათხრობილ ტყეებით, ზოგს სა-

მოსელ გაძარცულს, რომელთაც კუჟუჟი ტყე ოდნავ მწვერვალებზედ-ღა შერჩენიათ ფაფანაკებივით. თქვენც გსურთ, რომ ჩაერიოთ მრავალ-ჯერ ფრინველთა გაუთავებელ ჟრიამულში და ამასთანავე გულიც მოგდით, რომ არ ძალგიძთ ამ ბუნების სიტურფეს ხელი შემოჰხვიოთ და ხანგრძლივად გულში ჩაიკრათ... თუმცა სიმართლე გვაიძულებს ვსთქვათ, რომ ჩამოჭერლებისთვის ღმერთს არც შნო მიეცა და არც უნარი, რომ ამ ბუნების „სუქან დუმისთვის“ თითო მადიანი ლუკმაც არის ჩამოეთალათ! თუ იმათ უვარგისობას არა, მაშ რას უნდა მიეწეროს ის სამწუხარო გარემოება, სოროებისთვის თავი ვერ დაეხწიათ და ერთი რიგიანი, ადამიანური სადგომი ვერ ჩაედგათ! იმათთვის უსაჭიროეს გზების უსაძაგლობაზედაც რომ არაფერი ვსთქვათ, საკმარისია მოვიხსენოთ, რომ ზვინებად ქცეული იმათ ქოხების წინ საქონლის პატივი უხვად ავრცელებდა მრავალგვარ სურნელებას.. ჩამოჭერლებისთვის საკმარისი იყო როგორმე გეეტარებინათ ერთი მოსავლიდგან მეორემდე, —„შემდეგ ღმერთი მოწყალეაო“, და იშვიათად თუ ფიქრობდა ვინმე „შავი დღისთვის“.

ეს ითქმოდა თითქმის ყველა შუათანა ხელის შეძლებულ გლეხზედ, ხოლო როგორ ალოღმანებდა წუთი სოფელს უხვად დაჯილდოებული ღვთისგან.. წვრილ-შვილით ფადოანთ ფილოვი, რომელიც თითქმის დღიურად გამოდიოდა ამ ბოლო დროს, —ამას მკითხველი ადვილად მიჰხვდება. მართლაც, ძნელი და აუტანელი ყოფა იყო ფილოსი, რომ მეზობლები არა ჰყოლოდა ღვთისნიერნი. ჰხედავდნენ რა გაჭირვებულ ფილოს, ზოგი ფქვილს აწვდიდა, ზოგი დაკონკილ საცმელს, ზოგი ფიჩხს, ზოგი კიდე რას და ამ გვარად ფილოს მიათრევდნენ ცხოვრების გზაზედ. ფილო ღირსი კი იყო ამ გვარ თანაგრძნობისა რადგან ის, სამაგიეროდ, ყველასთვის დაუზარებელი იყო: ამას წისქვილში გაეგზავნებოდა, იმის საქონელს მოუვლიდა, ზოგის მაგივრად ბეგარაზედაც წავიდოდა და ამ გვარად, ბევრის გული ჰქონდა მოგებული.

რა თქმა უნდა, ფილოს ქოხი თავის მოწყობილობით ვერავის გააკვირვებდა. გაალებდით თუ არა წნულით მიბმულ კარებს, რომელიც ათას გვარ ჰანგზე ჭრიალებდა, დაინახავდით ერთ მიწურ ბნელ ოთახს, რომელსაც ბანში ერთი ჯუჯუტანა ჰქონდა გაკეთებული ოთახში წყვდიადის გასაბნევად. ეს ოთახი ლატნებით ორად იყო გაღობილ გაყოფილი: მარჯვნივ, უფრო მოზრდილი განყოფილება, ბოსლის დანიშნულებას ასრულებდა, ხოლო მარცხნივ ფილოს სახლობა იმყოფებოდა.

იყო ფილოსთვისაც ერთი დრო, როცა ეს ფართო ბოსელი თითქმის სავსე იყო: სამი უღელი ხარი, ორი საწველი ძროხა, ერთი ფურ-კამეჩი, რომელთაც განუწყვეტელი ღიღინით თავს დასტრიალებდა. მაგრამ, ეს—გლეხ კაცისთვის მთელი სიმდიდრე—საქონელი იმსხვერპლა იმ გვარმა სენმა, რომელსაც ფილო ყველაზე ნაკლებ მოელოდა—ტყის ჯარიმებმა. მხოლოდ მეზობლებისავე დახმარებით შერჩა, ისიც რა ვაი-ვაგლახით, ერთი ძროხა და ერთიც სახედარი. ბაგაზედ მიბმული ძროხა, კარგად გრძელი ბალნით, უშველებელის თავითა და გადახლართულ უკანა ფეხებით, ისე უგემურად და ზლაზნით იცოხნებოდა, თითქოს ქვედა ყბას თავის და უნებურად იქნევს და ფიქრობსო: „რა სიცოცხლეა ჩემი სიცოცხლე-ო!..“ სახედარს კი ლატანზე გადმოედო თავისი დინჯი, დაფიქრებული თავი და უნძრევლად, წამწამების ხამხამით, დაჰყურებდა ფილოს ცოლშვილს, თითქოს ამასაც ის აზრი აწუხებს და მოსვენებას არ აძლევს, თუ როგორ უნდა დაახწიოს თავი ბეჩავმა ფილოს სახლობამ ამ გვარ შევიწროებულ მდგომარეობასაო. მაგრამ, ვინ უწყის, იქნება იმისი მიწლაწნული მუცელიც იყო მიზეზი ასეთ დაძმარებისა!..

საცხოვრებელ განყოფილებაში, კარებთან, იდგა საქონლის პატივით გალესილი ორი გოდორი. ეს ორი გოდორი ბეღლის დანიშნულებას ასრულებდა და ისიც შემოდგომის თვეებში, თორემ ამ შუა ზამთარში თაგვებსაც დიდი ხანია იმათზე ხელი აეღოთ და ხშირად დასტრიალებდნენ კუთხეში მიგდებულ, სუფრის ნაგლეჯით დაკერებულ, ფქვილის ტომარას. ერთ კედელში გამოყვანილ დოლაბში თუნუქა აგლეჯილი ხის სკივრი იდგა, რომელზედაც აჭოხოლავებული იყო მონაცრო-მოშავო ფერის ლოგინი. არ იფიქროთ, რომ დიასახლისებს განგებ აერჩიათ სულ ერთ ფერის ლოგინის პირები! ახლოს რომ დაგეთვალიერებინათ, შეჰნიშნავდით ათას გვარად დაკონკებულ, ათადან-ბაბადან დარჩენილ ძონძებს, რომელთაც ფაბრიკიდან გამოსვლის შემდეგ არამც თუ გარეცხა, თითქმის ნამიც არა ღირსებიათ. ირგვლივ, კაცის სიმაღლეზედ გაკეთებულ თაროებზედ, ელაგა თითო ოროლა სპილენძისა და თიხის ჯამ-ჭურჭელი, ორიოდე სპილენძის ქვაბი, ერთი სინი და [illegible] ჩამოინიმი ობრალო ადიჯი.

კარგა განიერ, გაჭვარტლილ ბუხარში სამი-ოთხი წივა იღანღლებოდა. გარშემო, ჭილობის ნაგლეჯზე, შემოსხდომოდნენ ნახევრად შემოსილნი სამი ვაჟი და ერთი გოგონა. ბავშვები 2-10 წლისანი იყვნენ. შიშველა, დალურჯებული ფეხები აქეთ იქიდან წაეყოთ განელებულ ნაცარში, შეიარაღებულიყვნენ ჩხირებით და ხან ერთი, ხან მეორე წასჩხვლეტდა წივებს, რომ უმეტესი სიცხოველე გამოეწვიათ. იმათი გამხდარი, უსუფთაო პირისახე, გაწეწილი თმა, თითქმის შეუწყვეტელი ტანის ფხაკა-ფხუკი, აშკარად ჰმოწმობდა, რომ სისუფთავეზე ძალიან მცირე წარმოდგენა ჰქონდათ. ცოტა მოშორებით აკვანს გადაჰყუდებოდა იმათი დედა თეკლე. იმისი შავგვრემანი და ჩაყვითლებული პირი სახე, შავი, წარბებით შემოზღუდული, ჩაცვივნული თვალები. გამხდარ სახეზე გაბნეული მცირე ნაოჭი და საზოგადოდ დაღვრემილი, გულ ჩათხრობილი გამომეტყველება მოწმობდა, რომ თეკლეს მიერ გამოვლილ ცხოვრების გზაზე ისე ხშირი ყოფილა შავი დღეები, როგორც ხშირი იყო იმისი, თუმცა კანტი-კუნტათ, მაინც უდროვოთ ჭაღარა ნარევი ხშირი და გრძელი თმა, რომელიც მრავალ წვრილ ნაწნავებად, უსწორ მასწოროთ გადაყრილიყო აკვნის მეორე მხარეს. ოთახის ერთ კედელზე მიდგმულ განიერ ტახტზე იდვა რაღაც კუნძისებური რამ, საბან და ზოგიერთ ტანსაცმელ გადახურული.

მოისმა კარების შესაბრალისი ჭრიალი და სახლში რუგვით შემოაბიჯა კარგად მოსულმა, მხრებში წახრილმა შუახნის კაცმა. ეს გახლდათ ამ ავლა-დიდების პატრონი ფილო, რომელზედაც ლაპარაკობდნენ ტყიდან მოდენილი ახალგაზრდები. თუ გავიხსენებთ, რომ ფილოს შალის მოკლე ჩოხა-ახალუხს და პ იჭებში ჩაკეცილ შალისავე შარვალს დაკერების დროს არა ერთჯელ და ორჯელ აუტანიათ თეკლეს მოუხეშავი ხელებისაგან ნემსის ჩხვლეტა, მგონი მიხვდებით, რომ ფილო არ იყო, მაინც და მაინც, თბილად შემოსილი.

— თეკლე!—მოისმა შემოსვლისათანავე სასტიკი და რიხიანი ხმა:—საქონელს მოუარე? ეი, დღესაც არაფერი საჭმელი ჩაგიდგავს?! რა ურგები რამა ხარ, შე ოჯახ დასაქცევო! მოისვენე, მამა გიცხონდა, რა ფეხებზე გკიდია, თუ მე ფერდი ფერდსა მაქვს მიკრული!

ქმრის შეძახებაზე თეკლე შეკრთა, თავი გაიქნია და ფეხზე წამოდგა.

— ისაჰანო, აბა რა გაგიკეთოთ, მე შავ-ბედისამ!—უპასუხა წყნარის ხმით თეკლემ.—თხოვნითა და აქა იქ წანწალით ყველას თავი მოვაბეზრე. ე-ეს იყო ქიტაანთგან დავბრუნდი, იმიჰ ცოლს ერთი-ორი მუჭა ბრინჯი ვთხოვე, შორა-შეჭამადისათვის და ერთი აურ-ზაური დამიწყო: „რაც წაგიღიათ, შვილოსან, იმაჩი რა გამიკეთეთო!“ თუ აი ერთი ორი ჯერი ყართოლის იმედი გაქვს, ისიც რომ ახლა შევჭამოთ, ახალ წლისთვის რაღა უყოთ?

— ხულაისა, შენი წუწუნი და ჩვენი კარების ჭრიალი ერთია: გააბამ და გათავება აღარ იცი!.. ჯერ ეგ ვერანი ყართოლი ჩადგი, და ახალწლისთვის ღმერთი მოწყალეა!.. აი, ახორი დავგავოო, ან სხვა რამ საქმე გავაკეთო კი არა და მომყოლიხარ...

თეკლე გატრიალდა ბოსლის დასაგველად, ფილო კი, შმუშნით და ხელების ფშვნეტით, ბუხარს მიუახლოვდა, ჩაიკეცა და გაშტერებით შვილებს დაუწყო ცქერა.

მოღუშული, წარბებ ჩამოფხატული, დანაოჭებულ ვიწრო შუბლიანი, რომელსაც უფრო ავიწროებდა თავზე ორ მხრივ ალმაცერათ შემოხვეული ჩითის ოსმალური „სარული“,—ფილო უხიაკ და გაუტანელ კაცად გამოიყურებოდა. მაგრამ მაგგვარი ფიქრი იმის დასახასიათებლად ცილის წამება იქმნებოდა: გარეგან მიუდგომლობის დაღი ფილოსთვის დაესვა გამოვლილ მწარე დღეებს ამ გაუტანლობით და ხრიკებით სავსე დროში. ფილო იყო გულკეთილი, უეშმაკო, ერთგული და თავდადებული თავის ოჯახის და ნათესავ-ნაცნობთათვის. თუმცა მისდამი მიმართული უსამართლობა უეცრად ააფეთქებდა, ზოგჯერ შავი ფართო თვალები ცეცხლივით აენთებოდა, ცხვირის ნესტოები უგანიერდებოდა, მთელი სახე მოძრაობაში მოდიოდა და მაშინ საზარელი მხეცი ილვიძებდა მასში და მზადაც იყო შეუნდობარი საქმე ჩაედინა ამ გვარ წუთებში,—მაგრამ ესეთი წუთები არც ისრე ხშირი იყო იმის ცხოვრებაში. იმას გაღიმებულს იშვიათად ჰნახავდით, არც ბლერსი ეხერხებოდა. სამაგიეროდ ფილო თავს არ დაიზოგავდა ოჯახისთვის, თუ კი გარემოება მოითხოვდა. როცა სოფლად სახლობა განსაცდელში ჰყავდა, გამოუთქმელად უკვნესიდა გული და, მარტოდ დარჩენილს, ცრემლებიც კი უხვად ულბობდნენ ღაწვებს. მაგრამ ავადმყოფთან და, საზოგადოდ, სახლში გაუთავებლად რაღასაც ბუზღუნებდა და ერთი გულ სადები სიტყვაც კი არ წამოსცდენია.

— აგერ ფქვილიც გველევა.—დაბრუნებისას განაგრძო წუწუნით თეკლემ,—კაცმა რომელი ერთი ინაღვლოს!.. ეს ღვთის განაჩენი შეშაც რომ გაგვწყვეტია! ისპანო, როგორმე გააჩინე ცოტაოდენი შეშა, თორემ რაც წივა გვქონდა, დავწვით და ლამის „ჩაჯალ ჩოჯუხიანათ“*) სიცივით ამოვწყდეთ. რალა ჩვენთვის დეეცა ყადალა ტყეს! წელანაც არ იყო, სამი ციგა შეშა ჩაატარეს ქვეშა-მალელებმა. თუ იტყვი, ხელ მოსათბობ ფიჩხზედაც დამტრაფებენო, რაც იმათ ჩვენ სახლიდგან გაიტანონ, იმათი იყოს!..

— ნწა!.. ნწა!.. ნწა!..—თავი' ქნევით დაიწყო ფილომ: —ნაალათ გიალსინ ქორ-შეითანინ ბაშინა!**) ემენი... ტყუილად კი არ უთქვამთ მამაცხონებულებს: „ქალი-თმა გრძელი და ჭკვა თხელიო!“ სად მგზავნი, რომ მგზავნი, ვერანო! თუ იცი, რაზედ გეხრაკება შიმშილით ეგ კუჰი! არ იცი, ამ დღეჩი რამ ჩაგაგდო? არ იცი, რომ ტყის ტრაფითა ვარ გავერანებული? შენ რალაც გწადიან, ერთ ხათას უნდა გადამკიდო, აი!. აჰლლა...ა!.. შენ ეგ კოკა მოიგდე და ეხლავე წყალი გადმოარბევინე—ის გირჩევნია!

ამ დროს ტახტზედ საბან გადახურული კუნძი ოდნავ შეინძრა, შეიშმუშნა და ნაწყვეტ-ნაწყვეტად მოისმა მოკრუსუნე ხმა:

— შვილო, ფილო!. ეს, მართლაც, ნახევრად შიმშილობა არ გვეყოფა, რომ სიცივითაც არ ამოგვწყვიტო? ჩოჯულები მაინც შეიბრალე, შვილო, სალი ფერი აღარ ადევთ. თეკლე მართალს გეუბნება: ან სადმე ისესხე, ან, იქმნება როკი ერთ-ორ ჯერათ იმოტენას გაკაფვა, მაგრამ როცა კაცი კაცს შესაჭმელად დასდევს, მიზეზი მოაკლდება? სულ რომ თმა-ხუჰუჰა იყო, იმის სიტყვა გადის და „ქაჩალოვო“-ს გიძახის. „ქაჩალო, ქაჩალო!“... იმეორებს ხალხიც. იმ მგლისა არ იყოს: ბატკნის ზემოდამ სვამდა ცრემლივით სუფთა წყალს, მაინც მიზეზი მოუგდო,—„წყალი ამიწლვრიეო“, აილო და შესჭამა!..

— ჯაჰნი! რატო თავ დაბალი არა ხარ? მოთმინება უნდა გქონდეს: ქრიჰტე მაცხოვარმა რამტონი ითმინა და იტანჯა ჩვენთვის?! აბა დივნის კაცამდე შენ ხმას როგორ მიუწვდენ. ისევ ტკბილობით, ისევ მოთმინებით, შვილო, იქმნები განგებ ღმერთიცა გვცდის. ერთიც, კუჰიჯან, აი რა უნდა გითხრა: ფეხებზედ რომ კაბა მაგდია, იმის ჯიბეჩი შეკვანძული ჩვარი, მიდევს, იმ ჩვარჩი, აგერ რამტონი ხანია, კაპეკობით მოგროვილი მაქვს სამი-ოთხი შაური—სანთლის ფულათ ვინახავდი, მამიშენის სული უნდა მომეხსენიებინა. ეგ ფული ტყეჩითან წაიღე და თუ არ შეგხვდა ი პირშავი აბეჩიკი—რა კარგი! და თუ მოგატანა, ხვეწნით და მუდარით ასწიე და ჩააცეცხლე ყველა იძახის გამტანი კაციაო და შენ რატო ვერ მოიგე გული, იმ გულ დამწვარისა!

— მომყოლიხარ შენც,—ბავშვების თავზე ხელების ფაცუნით უპასუხა ფილომ,—როგორ უნდა მოუგო გული? იმდღესაც ხალხჩი დამინახა თუ არა: „შენაო, ქურდი და რაზნობიკი ხარო!“ რა მოგირაზნობიკე მეთქი, შვილოსა? შენ ხელმწიფის



ვარჯიშობა მველ დროში.—სურათი კრუსემარკისა.

გორმე ერთი ციგა შეშა ტყიდანაც ჩამოარბევინო. შიგ ტყეჩი, თუ გინდა, ნუ შეხვალ, განაპირაზედ, ძალარებთან ფიჩხ-ფუჩხი მოკრიბე. რა ისრე ღმერთი გაუწყრებათ, იმაზედაც ტრაფი დაგადონ; დაგადებენ და რას გაგულებენ კიდე, შვილო! შენ, ისრე გეტყობა, დივანხანაჩი სუდიასათვის ვერ გითქვამს, თორემ განა ისინი ქრიჰტიანები არ არიან, არ იციან განა, რომ ამ სიცივეჩი ქვები სკდებიან და ადამის შვილი როგორ გასძლებს!..

— შენ რალაო, ბებერო? შენც სხვა და სხვა გამიხდი? ვერა ვარ იმ ვერან აბეჩიკთან, ვერა!.. რით ვერ გაიგე, იჰსაჰნო! ი ტრაფები რომ გადაგვახდევინა იმ სულ გაყიდულმა,— ის ჩემი გაკაფილი ტყე იყო? ან ათ და ოც კაცს შეუძლია ტყეს ჰყიდი და ჰთოხლავ*) და მე კი ქურდი ვარ მეთქი?!.. შეხტა და შემოტრიალდა: მათრახით გამოექანა ჩემკენ; მეც, ცოტა გაწყდა, კეტი არ დავთხლიშე თავში. ნამანა, შეგვაყენეს. ეს ჩოჯუხები არ მებრალებოდეს, მე ვიცოდი, როგორაც გულს მოუგებდი, მაგრამ ამ ბორკილს რა ვუყო!—ბავშვებზე ჩვენებით დაამთავრა ფილომ.

— სულ შენი მაგეთი დიდგულობით მოგვდის, რომ ესრე შიმშილ-სიცივით სული ამოგვდის!—ჩაერია უმალ თეკლე, რომელმაც ის იყო ჩამოიდგა მხრიდან ნახევრად შეთოშილი წყლის კოკა და ამაოდ სცდილობდა ფეხების ტყაპუნით და ხელების სრესით სხეულში სითბოს გამოწვევას.

— ხმა არ უნდა გაკმიდო, შე ქაჯო, ქაჯის შვილო!?.— შეუტია გაბრაზებით ფილომ, თვალები ჩაუსისხლიანდა და ხე-

*) შვილებიანათ.

**) „ღმერთმა დასწყევლოს ბრმა ეშმაკის თავიო“.

*) [illegible]

ლების ფათურით ეძებდა რამეს, რომ ცოლისთვის ესროლა. ხელში არაფერი მოხვდა, ცოტ-ცოტათი დაშოშმინდა და კბილების კრაჭუნით დაუწყო ცქერა ცოლს.

თეკლემ ხმა გაკმინდა, კედელს აეკრა, მუშტი ყბას მიაყრდნო, თითქოს დაავიწყდაო აძონძებულ ჩითის კაბაში ნახევრად გაყინული სხეული და დრო-გამოშვებით-ღა ფეშთამლით იშორებდა იმ არა იშვიათ ცრემლებს, რომელიც ისე უხვად ილვრება ჩვენ დარბაისელ ჯავახეთში ჯერ კაცთა სასტიკ მონობისგან არ განთავისუფლებულ მანდილოსანთა მიერ...

ჩამოვარდა სიჩუმე. ხან-და-ხან ამ სიჩუმეს კორიანტელის ზმუილი არღვევდა. ბავშვები სცდილობდნენ უფრო-და-უფრო მიჰკროდნენ „თბილ“ მამას და ტახტზე მწოლარე ბებერიც იმ გვარად რგვალდებოდა და იკუნტებოდა, რომ იჰვიც კი დაგებადებოდათ: ამ გვარი თანდი-თან დაპატარავებით სრულიად არ გამქრალიყო. დიახ, იქ ყველას სციოდა: სახედარიც კი ძროხას მიახლოვებოდა, უკანასკნელს კი ცოხნა შეეჩერებინა და გარინდულიყო. სიცივეს მგონი აღარა ჰგრძნობდა თეკლე,—თავჩაქინდრული, გაუნძრევლად მდგომარე, ცრემლებისგან ღაწვებ დალარილი, მწუხარების ქანდაკებას მოგვაგონებდათ.

სიცივ-შიმშილი, უილაჯობა და წყვდიადი გამეფებულიყო ამ მიწურ სადგომის ყოველ კუნჭულში... და

„არსაით ხსნა, არსად ძახილი“...

ცოტა ხნის შემდეგ, ბებერმა კრუსუნი ხვრინვაზე შესცვალა. პატარა გოგო-ბიჭი, მოკუნტულნი მამის კალთაში, იმის სხეულითვე გამთბარნი, მიეცნენ ტკბილ ძილს და ორმა აქეთიქიდან მოკეცილმა ბავშვმაც, ერთმანეთს დაუწყეს ხშირი თავის კანტური.

გ. ახალციხელი

(დასასრული იქნება)




დ. მსხვრეულ „არგონავტის“ მენავემ მშვიდობიან ნავთსაყუდელს მიაგნო.

